

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ გორშოვა

დანაშაულის პრევენცია, როგორც ეფექტიანი საჯარო
მმართველობის შემადგენელი ნაწილი

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტექნიკის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი გიორგი ბალათურია _____

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2019 წლის „_____“ _____, _____ საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი _____,
აუდიტორია _____

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

Crime prevention as integral part of effective public administration

Summary

The existence and operation of efficient, tailored and flexible systems of state policy, state management and public administration is essential for any country, while the security of the country is the precondition of its proper and stable development. In case of existence of high level of security in the country the interests of the society as well as the state are protected, the correct and rational use of the state control mechanisms are met, and the most important is the fact that the mentioned ensures the efficiency of state management. Consequently, the complicated criminal situation is directly related to the failure of state management, which can be successfully averted by crime prevention and application of its different types.

On the basis of scientific analysis, the role and importance of crime prevention is considered in the thesis as a component part of effective state management and public administration.

Thesis includes the following parts:

Introduction - Includes determination of the need of determination of crime prevention for effective state administration, as well as the actuality of the thesis, its purpose and innovation, research object and subject, research methodology, its theoretical and practical significance, hypotheses.

The **first chapter** focuses on the crime prevention as a basis for effective state governance. It discusses the essence of crime prevention and its theoretical types, as well as the issue of interaction of fight against crime and crime prevention, also the state governance forms and methods of fight against crime, starting from the ancient period to a modern view.

The **second chapter** analyzes the fight against crime and crime prevention mechanisms in Georgia. The Government of Georgia, various ministries, Chief Prosecutor's Office and non-governmental organizations play a major role in overcoming and elimination of causes of various categories of crimes and their facilitating conditions, thus one of the leading bodies in this regard is the Ministry of Internal Affairs.

The **third chapter** – Present the original practical research based on the primary information, aiming at identification of the most urgent and problematic measure of the crime prevention types, the priority of which is determined by the population of Georgia through the relevant survey. This chapter explains in details the earlier stages of special police control deemed by the population of Georgia to be a priority measure in terms of crime prevention as well as the applicable regulations for these control.

This chapter also includes in details the theoretical original research based on the secondary information on the mechanisms for conducting the special police control.

An international practice on special police control has been studied, also the analysis of expertise, mechanisms and techniques of police control of leading countries (England, Northern Ireland, Canada, New York, Germany) and standards are presented.

The **fourth chapter** - this chapter presents a new policy reform that will promote the development of crime prevention. The structural arrangement of the Ministry of Internal Affairs of foreign countries (Slovenia, France, Finland, Latvia, Estonia, Estonia, Poland, Latvia, and Austria) was studied and the concept of new organizational arrangement of the Ministry of Internal Affairs of Georgia was developed within the reality of Georgia. This concept provides a standard completely different from the existing structural arrangement, which implies the institutional arrangement of separation in state management, namely, separation of the competences of the Ministry of Internal Affairs and Police.

This chapter provides research and analysis of the rules and standards established for enrolling candidates to the Police of Georgia and foreign countries (Germany, UK, New-York).

With the purpose of analyzing the practice of foreign countries and attracting qualified personnel, the thesis includes additional requirements to be satisfied by those candidates who are willing to work in the new structural unit of the Ministry of Internal Affairs.

For effective functioning of state management and in case of need for its improvement the institutional arrangement of structural units under its supervision is necessary: it shall ensure effectiveness, competitiveness, growth of potential capabilities, creation of completely new opportunities and processes of its activities and services. The achievement of the mentioned mostly depends on the institutional framework of the state management system, in particular the Ministry of Internal Affairs of Georgia.

The new structural arrangement of public administration presented as a result of the research includes: creation of a new structural unit of the Ministry of Internal Affairs of Georgia; establishment of teaching and educational group in the field of state management.

Conclusion - the researches conducted under the thesis are summarized and the relevant recommendations are presented.

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის ეფექტიანი, გამართული და მოქნილი სისტემების არსებობა და ფუნქციონირება, ხოლო მისი სწორი და სტაბილური განვითარების წინაპირობაა ქვეყნის უსაფრთხოება. ქვეყანაში არსებული მაღალი დონის უსაფრთხოების არსებობისას დაცულია როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს ინტერესები, დაკმაყოფილებულია სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმების სწორი და რაციონალური გამოყენება, და რაც მთავარია აღნიშნულით უზრუნველყოფილია სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა.

შესაბამისად, რთული კრიმინალური ვითარება უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფო მართვის წარუმატებლობასთან, რომლის თავიდან აცილებისთვის ერთ-ერთ შედეგიან პრიორიტეტად მიიჩნევა დანაშაულის პრევენციის და მისი სახეების გამოყენება.

დანაშაულთან ბრძოლის მასშტაბურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე დანაშაულის პრევენცია საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სისტემურ მიდგომას. პირველ რიგში, აღნიშნული გულისხმობს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას, შესწავლას, შეფასებას, პრიორიტეტების განსაზღვრასა და პრობლემის გადაჭრის ადეკვატური და ყველაზე ეფექტიანი გზების ძიებას. ამ მიზნით განვითარებულ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა არაერთი პროგრამა და კონცეფცია, რომლებიც დანაშაულთან ბრძოლის აპრობირებულ და წარმატებულ მეთოდებს წარმოადგენს ამ სახელმწიფოების პრაქტიკაში. საქართველოსთვის, სადაც დანაშაული წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთ-ერთ არსებით გამოწვევას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული კონცეფციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების შესწავლა, მათი დანერგვა და ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველყოფა. აღნიშნული დადებით ასახვას ჰპოვებს ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო

მართვაზე, ეკონომიკურ სიტუაციაზე, უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე, ასევე ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაზე.

სადისერტაციო ნაშრომში, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განხილულია დანაშაულის პრევენციის როლი და მნიშვნელობა, როგორც ეფექტიანი სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის შემადგენელი ნაწილი.

აქტუალურობა - ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის უმთავრესი მახასიათებელია მისი საჯარო მმართველობის ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირება. განვითარებული სახელმწიფო ახორციელებს ისეთი გზების მოძიებასა და მისი არსებობის დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და სახელმწიფოს განვითარებას, მის პროგრესს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს წინაშე მრავალი ამოცანაა განსახორციელებელი. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის კრიმინალთან ბრძოლა, დანაშაულის შემცირება და მოქალაქეთა უფლებების დაცვა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების მუდმივი დამუშავება, ახალი გზებისა და გამოწვევების ანალიზი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერ სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს და უცხოური კანონმდებლობის გაანალიზების მეშვეობით კვლევის აქტუალურობას წარმოადგენს:

- ✓ სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის განსაზღვრა დანაშაულის პრევენციასთან მიმართებით;
- ✓ არსებული და შესაძლო პრევენციული ღონისძიებების ანალიზი;
- ✓ კონკრეტული ღონისძიებების დამუშავების აუცილებლობა დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის მიზნით, ამ ღონისძიებათა თავისებურების, განვითარებისა და დამკვიდრების პერსპექტივების წარმოჩენა.

მიზანი - ეფექტიანი საჯარო მმართველობის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის - დანაშაულის შემცირებისა და პრევენციის თანამედროვე მიდგომებისა და კონცეფციების შესწავლა და ანალიზი;

საზღვარგარეთის პრაქტიკის ანალიზი; საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება; დანაშაულის პრევენციის მიდგომების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა, შეფასება; დანაშაულის შემცირების ყველაზე ეფექტიანი გზების დადგენა; საქართველოში დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით, როგორც ინსტიტუციური, ისე სამართლებრივი და სოციალური მექანიზმების ჩამოყალიბება.

სიახლე - სადისერტაციო ნაშრომში პირველად საქართველოში განხორციელდა სახელმწიფოს მართვაში დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით არსებული ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი. აღნიშნული მიმართულებით გამოკვეთილ იქნა რიგი პრობლემები, რის საფუძველზეც აუცილებელი გახდა შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების ჩამოყალიბება, სახელდობრ:

ნაშრომში დასაბუთებულია სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორების ფუნქციონირებისა და ქვეყნის საზოგადოებრივი და მართლწესრიგის დაცვის პოლიტიკის ჰარმონიზება. რაც აუცილებელია ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად რათა მოხდეს ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში - სახელმწიფო მართვის ეფექტიანად წარმართვა და ქვეყანაში არსებული კრიმინალური ვითარების შემცირება.

აღნიშნულის საფუძველზე საჭიროა: თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამებისა და მიდგომების ჩამოყალიბება. აღნიშნული ხელს შეუწყობს და საგრძნობლად შეამცირებს როგორც ქვეყანაში არსებულ ძირითად სამართალდარღვევებს, ისე ქვეყანაში თავიდან იქნება აცილებული რიგი დანაშაულები.

ნაშრომში დამუშავებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ახალი სტრუქტურული ერთეულის კონცეფცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იმგვარი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი ქვეყანაში დანაშაულის პრევენციასა და დანაშაულის შემცირებაზე. იგი ხელს შეუწყობს

დანაშაულის პრევენციის სისტემური და ერთიანი მიდგომებით განხორციელებას, მთელი ქვეყნის მასშტაბით პრევენციული პროგრამებისა თუ პოლიციის რესურსების სწორ გადანაწილებას, პრიორიტეტების ადეკვატურ განსაზღვრას.

ნაშრომში დასაბუთებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ისეთი სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება დაინტერესებული მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ჩართულობა და დატრენინგება, როგორც დანაშაულის პრევენციის კუთხით, ისე პოლიციასთან ურთიერთ კოორდინირებულად მუშაობის აუცილებლობისა და ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების თეორიული/პრაქტიკული ინფორმირება, მათი ჩართულობის ორგანიზება პოლიციის იმ ძირითად მიდგომებისა და საქმიანობაში რასაც იგი ახორციელებს უშუალოდ დანაშაულის პრევენციის გამოყენების დროს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაწერი ნოვაციები აუცილებლობას ხდის ისეთი კვალიფიციური მოსამსახურეებით დაკომპლექტებას, რომლებსაც ექნებათ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება. სიახლე ხელს შეუწყობს, მოქალაქეებთან სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის მქონე პოლიციის მუშაკთა ურთიერთობას, რაც თავისთავად გამოიწვევს სახელმწიფოსადმი როგორც ნდობის ამაღლებას, ისე სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის ზრდას.

სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა წარმოდგენილი სიახლეების დამკვიდრების საჭიროება/აუცილებლობა/მიზანშეწონილობა. ასევე განხორციელებულ იქნა პირველად და მეორეულ ინფორმაციაზე დამყარებული ორიგინალური თეორიული და პრაქტიკული კვლევა, რომელიც ეხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ორგანიზაციული მოწყობის კონცეფციის

მიზანშეწონილობას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო, როგორც სახელმწიფო მოხელეებმა ისე მოქალაქეებმა. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მათი დადებითი განწყობა სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილი ინოვაციური პროექტის მიმართ.

ნაშრომის სიახლე იქნება როგორც სამართლებრივი, სოციალური, ისე ინსტიტუციური მოწყობის ეფექტიანი და სისტემატიზებული მექანიზმების განსაზღვრა. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი იქნება დანაშაულის პრევენციის ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვის განმახორციელებელი პირებისათვის.

კვლევის საგანი - დანაშაულის მიზეზები და მისი სოციალური ბუნება, დანაშაულის გამოვლენის ფორმები. დანაშაულთან ბრძოლის ზოგად თეორიული ასპექტები, აგრეთვე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, დანაშაულის შემცირებისა და პრევენციის თანამედროვე მიდგომები და კონცეფციები, საზღვარგარეთის პრაქტიკა, საქართველოში კრიმინოგენური თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.

კვლევის ობიექტი - დანაშაულის პრევენციის სისტემა საქართველოში სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით; დანაშაულის პრევენცია, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა; დანაშაულის პრევენციის მიზეზები და პირობები ისტორიული განვითარების კონტექსტში; საქართველოში დანაშაულის პრევენციის სახეები და მათი ანალიზი; დანაშაულის პრევენციის არსი და მისი საჭიროება; დანაშაულის პრევენციასთან მიმართებით საერთაშორისო ნორმატიული აქტები და შიდასახელმწიფოებრივი მარეგულირებელი ნორმები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები - სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, რომლებმაც ხელი შეუწყო თემის სიღრმისეულ განსჯას და რომელიც შეესაბამება სადისერტაციო თემის სპეციფიკას, მათ შორის:

- წყაროების შესწავლა (მოძიება, დახარისხება, ინფორმაციის შეგროვება);

- სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარება ორგანიზაციებში და საზოგადოების წარმომადგენლებში, ასევე საქართველოს მოქალაქეებში, რომლებიც შეირჩა რეპრეზენტატიული ამონარჩევის ფორმირების მეთოდოლოგიის მიხედვით;
- პირველად და მეორეულ ინფორმაციაზე დამყარებული ორიგინალური თეორიული და პრაქტიკული კვლევა;
- სამეცნიერო ნაშრომის სამუშაო ჰიპოთეზის, გეგმა-მონახაზის, შემდეგ დეტალური გეგმის შედგენა;
- სადოქტორო ნაშრომის ძირითადი დებულების ჩამოყალიბება;
- მოძიებული და ჰიპოთეტური არგუმენტების დასაბუთება.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას ამომწურავად შესწავლილიყო დანაშაულის პრევენციასთან არსებული პრობლემები, მოვლენათა განვითარება, მისი მიზეზები, საერთაშორისო და საქართველოს ნორმატიული აქტები პრევენციისა და დანაშაულთან ბრძოლის ასპექტით.

სადისერტაციო ნაშრომი ნაწილობრივ შეავსებს ქართულ მეცნიერებაში არსებულ დანაშაულის პრევენციის პრობლემის კვლევის საკითხებს.

სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები, რეკომენდაციები და წინადადებები საინტერესო იქნება, როგორც საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისთვის, ისე ამ საკითხებით დაინტერესებულ თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მუშაკებისთვის. ასევე, საზოგადოების ფართო ფენებისთვის, სტუდენტებისთვის, ვინაიდან მასში მეცნიერულად იქნა დამუშავებული თანამედროვე დანაშაულის პრევენციის პრობლემები და რიგი გამოწვევები, და მისი გადაჭრის ინსტრუმენტებიც.

საკვლევი საკითხები - სახელმწიფო მართვის მნიშვნელოვანი გამოწვევები დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული/მიმდინარე კრიმინალურ ვითარებაზე. მისი მაღალი მაჩვენებელი დიდ წილად განაპირობებს

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის შემცირებას, რაც თავისთავად ასაბუთებს იმ მთავარ მიზანს, თუ როგორი მნიშვნელობის მატარებელია დანაშაულის პრევენციის განხორციელება. ამ მიმართულებით სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი არის დანაშაულის დროული პრევენცია.

ნაშრომში გამოკვლეულია დანაშაულის პრევენციის პრიორიტეტული მიმართულებები, სახელდობრ:

- გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა;
- ადამიანის, საზოგადოების, დანაშაულის ხელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მეთოდები;
- დანაშაულის პრევენციის მიზნით მაღალი შედეგიანობის მიღწევის ღონისძიებები;
- დანაშაულის დროული პრევენციის შესაძლებლობები;
- უსაფრთხო განვითარების ზრდის უზრუნველყოფის ღონისძიებები;
- გამჭირვალობა და მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულების

მაღალი დონის მიღწევის საშუალებები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შინაარსის, ნახაზების ნუსხის, რეზიუმის, ლიტერატურის მიმოხილვის, შესავლის, 4 (ოთხი) თავის, დასკვნისა და რეკომენდაციის, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისგან.

ნაშრომის სტრუქტურა:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. დანაშაულის პრევენცია, როგორც ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობის საფუძველი

1.1. სახელმწიფო მართვის პრობლემატიკა და დანაშაულის პრევენციის არსი

1.2. სახელმწიფო დანაშაულის წინააღმდეგ

- ანტიკური პერიოდის მოაზროვნეები სახელმწიფოსა და დანაშაულის შესახებ
- შუასაუკუნეების სახელმწიფო აზროვნება დანაშაულის პრევენციის შესახებ
- თანამედროვე სახელმწიფოებრივ ხედვა დანაშაულის პრევენციის შესახებ

თავი II. დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმი საქართველოში

2.1. საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების როლი დანაშაულის პრევენციის საქმიანობაში

2.2. დანაშაულის პრევენციის პრაქტიკული იმპლემენტაცია

თავი 3. კვლევა დანაშაულის პრევენციის შესახებ

3.1. საქართველოში დანაშაულის პრევენციის მეთოდების კვლევა

3.2. საქართველოში სპეციალური საპოლიციო კონტროლის ანალიზი

3.3. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების შესახებ (ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, კანადა, ნიუ-იორკი, გერმანია)

თავი 4. საქართველოს სახელმწიფო მმართველობითი პოლიტიკის რეფორმა დანაშაულის პრევენციის მიზნით

4.1. საზღვარგარეთის ქვეყნების დანაშაულის პრევენციის სისტემების ანალიზი (სლოვენია, საფრანგეთი, ფინეთი, ლიეტუვა, ესტონეთი, პოლონეთი, ლატვია)

4.2. პოლიციელის, როგორც სახელმწიფო მოხელის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტის ანალიზი (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ნიუ-იორკი)

4.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ორგანიზაციული მოწყობის კონცეფცია

- სახელმწიფოს სტრუქტურული ქვედანაყოფის რეფორმა
- დანაშაულის პრევენციის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის შექმნა
- სასწავლო/საგანმანათლებლო რეფორმა დანაშაულის პრევენციის კუთხით

- პირის საჯარო მოხელედ - პოლიციელად მიღების დამატებითი სტანდარტების შემოღება

4.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოს ახალი სტრუქტურული მოწყობის მიზანშეწონილობის/ეფექტიანობის შესახებ კვლევა დასკვნა, რეკომენდაციები გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის შესავალი ითვალისწინებს ეფექტიანი სახელმწიფო მართვისათვის დანაშაულის პრევენციის საჭიროების განსაზღვრას, ასევე გათვალისწინებულია ნაშრომის აქტუალობა, მისი მიზანი და სიახლე, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის მეთოდოლოგია, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, საკვლევი საკითხები.

ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს იმ ქართული და უცხოური სახელმძღვანელოების, ნაშრომების, სტატიებისა და ოფიციალური ინტერნეტ სივრციდან მიღებულ ლიტერატურის შესწავლასა და გაანალიზებას, რომელიც დაკავშირებულია საჯარო მმართველობასთან, სახელმწიფო მართვასთან და დანაშაულის პრევენციის ურთიერთქმედების საკითხებისადმი. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილ კვლევაში ძირითადი დაშვებები, შეფასებები და მიგნებები ოფიციალური წყაროების გარდა ემყარება სხვადასხვა კვლევებს, სტატისტიკურ ინფორმაციას, სამეცნიერო-პრაქტიკულ ნაშრომებს, რომლებშიც განხილულია დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობითი საკითხები.

პირველი თავი - მოიცავს დანაშაულის პრევენციის, როგორც ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობის საფუძველს. მასში განხილულია დანაშაულის პრევენციის არსი და მისი თეორიული სახეები, ასევე დანაშაულის ბრძოლისა და დანაშაულის თავიდან აცილების ურთიერთქმედების საკითხი. აგრეთვე დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მეთოდები

დაწყებული ანტიკური პერიოდიდან, დამთავრებული თანამედროვე ხედვით. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია მრავალი მკვლევრისა თუ მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრებები, მაგალითები სახელმწიფო მართვის, საზოგადოების მდგომარეობის, დანაშაულისა და დანაშაულთან ბრძოლის შესახებ.

მეორე თავი - გაანალიზებულია საქართველოში დანაშაულთან ბრძოლა და დანაშაულის პრევენციის მექანიზმები. მეტად დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთა მიზეზებისა და მათი ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის დაძლევისათვის საქართველოს მთავრობა, სხვადასხვა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა და არასამთავრობო ორგანიზაციები. მ.შ. ერთ-ერთი წამყვანი ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. დანაშაულის პრევენციის საკითხთა გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესია მათი ჩართულობა და ურთიერთ კოორდინირებული მუშაობა, რომლის წარმოჩენას ემსახურება აღნიშნული თავი.

მესამე თავი - ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და მათ განსაზღვრებას (ჩამონათვალს), რომელიც ნაშრომში წარმოდგენილია პირველად და მეორეულ ინფორმაციაზე დამყარებული ორიგინალური თეორიული და პრაქტიკული კვლევები. ამასთან „კვლევა დანაშაულის პრევენციის შესახებ“ თავში დაწვრილებით არის განხილული პირველად ინფორმაციაზე დამყარებული ორიგინალური პრაქტიკულ კვლევა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის პრევენციის არსებული სახეებიდან ყველაზე აქტუალურ, პრობლემურ ღონისძიების დადგენას, რომლის პრიორიტეტულობას ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს მოსახლეობა. აღნიშნულ თავში დეტალურად არის განმარტებული საქართველოს მოსახლეობის მიერ დანაშაულის პრევენციის სახეებიდან მიჩნეული პრიორიტეტული ღონისძიების - სპეციალური საპოლიციო კონტროლის როგორც ადრეული ეტაპები ისე არსებული რეგულაციები მისი ჩატარებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული თავი დეტალურად მოიცავს აგრეთვე მეორეულ ინფორმაციაზე დამყარებულ თეორიულ ორიგინალურ კვლევას სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისათვის მექანიზმების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პირველად და მეორეულ ინფორმაციაზე დამყარებული ორიგინალური თეორიული და პრაქტიკული კვლევები ჩატარებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სახის კვლევები:

ა) თეორიული კვლევა მეორეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

თეორიული კვლევით დადგენილ იქნა:

- სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი დანაშაულის ბრძოლასთან;
- მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი სახელმწიფოს პოლიტიკის ასპექტებსა და დანაშაულის თავიდან აცილების მექანიზმებზე;
- საერთაშორისო ქვეყნების (ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, კანადა, ნიუ-იორკი, გერმანია) გამოცდილება - სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების შესახებ;
- საზღვარგარეთის ქვეყნების (სლოვენია, საფრანგეთი, ფინეთი, ლიეტუვა, ესტონეთი, პოლონეთი, ლატვია) სახელმწიფოს ძალოვანი ორგანოების სტრუქტურები და მათი უფლებამოსილებები;
- უცხო ქვეყნების (აშშ, დიდ ბრიტანეთში) სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირების ასპექტები, რომელიც დანაშაულის პრევენციის შესწავლის მიზნით მიმართულია საზოგადოების ჩართულობისკენ;
- საერთაშორისო ქვეყნების (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ნიუ-იორკი) პრაქტიკა, ძალოვან სტრუქტურაში პოლიციელად მიღების არსებული პროცედურები.

ბ) პრაქტიკული კვლევა პირველად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

შემუშავებულ იქნა კითხვარები სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუსთვის, რომლებიც გამოყენებულ იქნა

ინტერვიუს ჩასატარებლად. ინტერვიურება განხორციელდა, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების გამოკითხვა, როგორც სტრუქტურირებული ისე არასტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით.

საწყის ეტაპზე განხორციელდა სტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვება საზოგადოებაში კვლევის მეთოდოლოგიის მოთხოვნის შესაბამისად - ნდობის (დამაჯერებულობის) მაღალი ალბათობით ($P=0,98$) და შეცდომის მცირე ინტერვალით ($e=3\%$). მიღებული მონაცემებით ჩატარდა სათანადო ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა საზოგადოების განწყობა.

არასტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით დადგინდა სახელმწიფო მოხელეების განწყობა.

ჩატარდა აგრეთვე მოსახლეობის საცდელი გამოკითხვა იმის შესახებ, მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამაში.

ამასთან, შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა სპეციალური საპოლიციო კონტროლის შესახებ, ასევე წარმოდგენილია წამყვანი ქვეყნების (ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, კანადა, ნიუ-იორკი, გერმანია) გამოცდილების, საპოლიციო კონტროლის განხორციელების მექანიზმებისა და სტანდარტების ანალიზი.

მეოთხე თავი - აღნიშნული თავი მოიცავს იმ ახალი პოლიტიკის რეფორმის წარმოდგენას, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციის განვითარებას. აღნიშნულის მიზნით შესწავლილ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების (სლოვენია, საფრანგეთი, ფინეთი, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, ლატვია, ავსტრია) შინაგან საქმეთა სამინისტროთა სტრუქტურული მოწყობა და აღნიშნული ქვეყნებისა და საქართველოს რეალობიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ორგანიზაციული მოწყობის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებს არსებული სტრუქტურული მოწყობიდან სრულიად

განსხვავებულ სტანდარტს, რომელიც მოიაზრებს სახელმწიფო მართვის, კერძოდ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციის კომპეტენციასთან ერთმანეთისგან გამიჯვნის ინსტიტუციურ მოწყობას.

აღნიშნული თავი ითვალისწინებს როგორც საზღვარგარეთის (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ნიო-იორკი) ისე საქართველოს პოლიციაში კანდიდატთა მიღებისთვის დადგენილი წესისა და სტანდარტების კვლევასა და ანალიზს.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ანალიზისა და კვალიფიციური მოსამსახურეთა მოზიდვის მიზნით სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ის დამატებითი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება სავალდებულო იქნება იმ კანდიდატებისთვის, რომლებსაც სურვილი ექნება იმუშაონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ სტრუქტურულ ერთეულში.

სახელმწიფო მართვის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის და საჭიროებისამებრ მისი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მის დაქვემდებარებაში მოქმედი სტრუქტურული დანაყოფების ისეთი ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა თუ მომსახურების ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას, პოტენციური შესაძლებლობების ზრდას, სრულიად ახალი შესაძლებლობებისა და პროცესების შექმნას. აღნიშნულის მიღწევა კი მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია სახელმწიფო მმართველობის სისტემის, კერძოდ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციურ ჩარჩოზე.

კვლევის შედეგად წარმოდგენილი საჯარო მმართველობის ახალი სტრუქტურული მოწყობა მოიცავს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნას; სახელმწიფო მმართველობის სფეროში სასწავლო-საგანმანათლებლო ჯგუფის ჩამოყალიბებას.

ზემოაღნიშნული კვლევების მიზანშეწონილობის/ეფექტიანობის დასადგენად და წარმოსაჩენად ჩატარებულ იქნა მეორეულ და პირველად ინფორმაციაზე დამყარებული ორიგინალური თეორიული და პრაქტიკული

კვლევა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილის გამოკითხვის შედეგების ასახვას სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილ სიახლეთა შეფასების შესახებ.

დასკვნა - შეჯამებულია სადისერტაციო ნაშრომით ჩატარებული კვლევები და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნები:

სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილი კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემა საჭიროებს ახალი პროექტების შემუშავებისა და დანერგვის საჭიროებას.

სახელმწიფო ხელისუფლებამ რეფორმირების დროს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამართალდამცავი სისტემის განვითარებას, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას, მისი ეფექტიანი საქმიანობის პროცესის ხელშეწყობასა და მის მიერ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად ფორმირებისათვის აუცილებელია, სახელმწიფო მართვის გაუმჯობესებასთან და ნათლად განსაზღვრულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, არსებობდეს შესაბამისი ინსტიტუციონალური მოწყობა. აღნიშნული უზრუნველყოფს პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას, პოტენციური შესაძლებლობების ზრდას, ახალი შესაძლებლობებისა და პროცესების შექმნას. აღნიშნულის მიღწევა კი მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია სახელმწიფო მმართველობის სისტემის ინსტიტუციურ ჩარჩოზე.

სადისერტაციო ნაშრომი ეთმობა იმ სიახლეებს, რომელიც გამოიწვია წარმოდგენილი საკვლევი მასალის შესწავლამ და ანალიზმა. აღნიშნული სიახლეების აუცილებლობის დადგენისთვის საჭირო გახდა სახელმწიფო მართვისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით, საზღვარგარეთის ქვეყნების

სტრუქტურული მოწყობის, სპეციფიკური მუშაობის სტანდარტებისა და პოლიციელად მიღების იმ სავალდებულო მოთხოვნების შესწავლა. აღნიშნულის გაანალიზებითა და კვლევის საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომით წარმოდგენილია ახალი საჯარო მმართველობის სტრუქტურული მოწყობა.

სახელმწიფო მართვის ახალი ორგანიზაციული მოწყობის კონცეფცია ითვალისწინებს:

- ქვეყნის ძირითადი სამართალდამცავი ორგანოს რეფორმას;
- დანაშაულის პრევენციის დეპარტამენტის, როგორც ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის საჭიროებას;
- საზოგადოებისთვის სპეციალური პროგრამებისა და საგანმანათლებლო სწავლებების დამკვიდრებას;
- პირის საჯარო მოხელედ - პოლიციელად მიღების დამატებითი სტანდარტების შემოღებას.

წარმოდგენილ ნაშრომში დამუშავებული ინოვაციური პროექტის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ორგანიზაციული მოწყობის კონცეფცია) დაწყება საშუალებას მისცემს საქართველოს კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. აღნიშნული ინიციატივის იმპლემენტაცია საფუძველია საქართველოს სახელმწიფო მართვის ეფექტიანად განხორციელების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთარი საქმიანობის პროცესის გაუმჯობესების, მოქალაქეთა ნდობის ამაღლებისა და პოლიციის მოსამსახურეებთან ურთიერთდამოკიდებულების საუკეთესო მიდგომის მიღწევის.

სახელმწიფო მართვის ახალი ორგანიზაციული მოწყობის მიზანშეწონილობის დადგენისათვის შედგენილ იქნა კითხვარი, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისა და საზოგადოების ნაწილის შეხედულება/განწყობა.

და ბოლოს წარმოდგენილი სიახლეების დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას სახელმწიფო მართვის სისტემისთვის, რათა უკეთ

იქნეს განხორციელებული ქვეყნის განვითარების პროცესში თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი რეკომენდაციები:

ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის ამაღლება.

ნაშრომით წარმოდგენილი საქართველოსა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზით გამოვლინდა, რომუცხო ქვეყნების პრაქტიკისგან განსხვავებით საქართველოში არსებული ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება - სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელება რეგულირებულია ზოგადი ჩარჩოების ფარგლებში, რაც მისი დარეგულირების აუცილებლობას იწვევს. შესაბამისად, სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესებისათვის და მოქალაქეთა უფლებების დასაცავად საჭიროა აღნიშნული საკითხის საერთაშორისო სტანდარტთან დაახლოება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებით. აღნიშნული საშუალებას მისცემს სახელმწიფო მართვის წამყვან სამართალდამცავ ორგანოსა და მოქალაქეს მკაფიოდ გამიჯნოს ის უფლებამოსილებანი რაც მას მინიჭებული აქვს არსებული კანონმდებლობით და აღნიშნულის საფუძველზე დაცულ იქნეს მათი უფლების შეზღუდვის გარანტიები.

სამინისტროში არსებულ პრობლემებისა და გამოწვევების შესწავლითა და გაანალიზებით განისაზღვრა ახალი ორგანიზაციული მოწყობის კონცეფციის ჩამოყალიბების საჭიროება. აღნიშნულის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა სამინისტროს სრულიად განსხვავებული ორგანიზაციული მოწყობა. აღნიშნული კონცეფცია დაარეგულირებს სამინისტროსა და პოლიციურ დანაყოფებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას პოლიციური ღონისძიებების განხორციელების სფეროში, რის საფუძველზეც განხორციელდება პოლიციური და სამოქალაქო ფუნქციათა მკაფიო გამიჯვნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო მართვის იმ რგოლს, რომელიც დიდ წილად ახორციელებს დანაშაულის პრევენციას და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება წარმოადგენს მის ძირითად საქმიანობას, რომელსაც იგი მის სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით ახორციელებს. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს კონკრეტული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის შესაძლებლობას განახორციელოს მხოლოდ ის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მის დაქვემდებარებაშია გაწერილი. ამასთან, როგორც წესი ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საქმეებზე, როგორცაა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებაზე, სისხლის სამართლის გამოძიებაზე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესრულებაზე და ა.შ. ხოლო დანაშაულის პრევენციის განხორციელება და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების მოგვარება ხშირ შემთხვევებში რჩება მისი განხორციელების მიღმა, რაც ასუსტებს და არაეფექტიანს ხდის სახელმწიფო მართვის სისტემას მთლიანობაში. აღნიშნული გარემოება აუცილებელს ხდის ისეთი სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნის, რომელიც დამოუკიდებლად იქნება პასუხისმგებელი პრევენციული ღონისძიებების ეფექტიან განხორციელებაზე. ამასთან, აღნიშნული დანაყოფის შექმნა სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ხელს შეუწყობს პრევენციის სისტემური და ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრას, პრევენციის მიმართულებით კონცენტრირებულ და უწყვეტ მუშაობას.

აუცილებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სისტემაში ან მის გარეთ (დამოუკიდებლად) დამკვიდრდეს სასწავლო/საგანმანათლებლო მოდელი, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს საშუალებას მისცემს აიმაღლოს მისი ცნობიერება პოლიციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების არსისა და მისი დანიშნულების შესახებ. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოქალაქის მიერ მკაფიოდ იქნეს გათვითცნობიერებული ის ფაქტი,

რომ პოლიციის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიების მიზანს წარმოადგეს მხოლოდ საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა და არა მათი უფლებების დარღვევა.

საგულისხმოა, რომ ნებისმიერი სპეციალობა მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნასა და გამოცდილების ქონას. შესაბამისად, სახელმწიფო მართვის სისტემაში წარმოდგენილი სიახლეები აუცილებლობას ხდის, ახალი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოსამსახურეთა დაკომპლექტებას. საერთაშორისო ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელი იქნება იმ მოქალაქის მიერ, რომელსაც სურვილი ექნება დანაშაულის პრევენციის დეპარტამენტში მუშაობისა. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს ახლადშექმნილ და ასევე ახალი გამოწვევების წინაშე მდგომ დანაყოფს მასზე დაკისრებული უფლებამოსილება განახორციელოს უფრო ეფექტიანად.

ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები მიმართულია ქვეყანაში არსებული სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებისაკენ, რათა დროულად იქნეს თავიდან აცილებული, როგორც დანაშაულის ჩადენა ასევე ნებისმიერი სამართალდარღვევა.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ:

თემატური კოლოქვიუმები:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის რეფორმა დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული პოლიციის განვითარების მიზნით - 27 თებერვალი 2018 წ.

2. დანაშაულის პრევენციის ისტორიული განვითარება და რეტროსპექტული ანალიზი - 27 ივლისი 2018 წ.

3. სპეციალური საპოლიციო კონტროლი, როგორც დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი ფორმა - 27 თებერვალი 2019 წ.

თემატური სემინარები:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანებისა და ინსტიტუციური მოწყობის მიმოხილვა - 27 თებერვალი 2018 წ.

2. პოლიციელად ფორმირების წესი - 27 ივლისი 2018 წ.

სტატიები და პუბლიკაციები:

ა) სამეცნიერო სტატიები:

1. „Методы профилактики правонарушений“. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტი“ - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ISSN 1512-0333. №3(62), ქ. თბილისი, 2019 წელი, გვ. 106-108.

2. „დანაშაულის პრევენცია - სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რეტროსპექტული ანალიზი“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“. №1(49) 2019, ტომი I, ქ. თბილისი, 2019 წელი, გვ. 120-128.

3. „საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემისა და საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებისადმი“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ ISSN 1512-374X. №1(49) 2019, ტომი II, ქ. თბილისი, 2019 წელი, გვ. 90-97.

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, 10-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“, თემა - „ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება, როგორც სამართალდარღვევის პრევენციის ერთ-ერთი ფორმა საქართველოში“, ქ. თბილისი, 2016 წელი.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„ხელისუფლება და საზოგადოება - 2017“, თემა - „პრევენციულ საპოლიციო საქმიანობაში ცხენოსანი პოლიციის მნიშვნელობის შეფასება“, ქ. თბილისი, 2017 წელი.

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, საქართველოს პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს პარლამენტარიზმი - 100“ თემა - „დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები, როგორც სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი“, ქ. თბილისი, 2019 წელი.